აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 25

12 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ სპეციალურ სიაში შესაყვანი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სიის შედგენის ახალი ვადის განსაზღვრის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისათვის შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ სპეციალურ სიაში შესაყვანი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სიის შედგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2004 წლის 18 ივნისი.

მუხლი 2. აღნიშნულ სიებს საოლქო საარჩევნო კომისია შესაბამის ქვემდგომ საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცემს არაუგვიანეს მომდევნო დღის 12.00 საათისა.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	გ. მჭედლიძე